№ 49 1916
კვირა, ქრისტე 4

წლიურად 5 მ, ნახევარი წლით 3 მ. გაწერა შეიძლება ფოსტით: Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили. პირისპირ: „სორაპანი"-ს სტამბაში

წელ. მეთოთხმე გამოცემისა | ფასი 15 კ.

მიიღება ხელის მოწერა

დაწვრილებით იხ. მე-16-ე გვ

† მგოსანი ემილ ვერჰარნი

ბელგიის სახელგანთქმული მწერალი, რუანიდან პარიზს წასვლისას მატარებლიდან ჩამოვარდა, თვლებ ქვეშ მოჰყვა და გარდაიცვალა. თავის ნაწერებში დემოკრატიულ მისწრაფებათა გამარჯვებას უგალობდა.

შინაარსი

1, მეთაური — საკუთარი კაცი საკუთარ საქმეს . 2
2, ივ. გომართელი — ეროვნული თვალსაზრისი . . . . „
3, ვ. რუხაძე — ახ, ერთხელ მაინც 4
4, მირ. ხარსელი — დედა, მოთხრობა . . . 5
5, სილოვანი — კრიტიკული შეცდომები: შინაარსი და გარეგნობა 7
6, გრ. საქარიქეძელი — მოსე მწერალი პიესა ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან . 9
7, იოსებ არიმათიელი — არა ჩვეულებრივი კაცი, ს. თარაიანი 11
8, დარია ახვლედიანი — სიმღერა 12
9, გედ გელოვანი — თუშური ლექსი . . . „
10, ს. ერთაწმინდელი — სოფელში . . . 13
11, გუგული — სტიხი . . . . „
12, ქ. ძიძაძე — ამონაკვნესი 14
13, ექიმი შტოკმანი — „თამარ ცბიერი" „ახალ კლუბში" . . . . „
14, სახიობა, წვრილი ამბები . . . . . „

ქრისტიშობისთვის 4

საკუთარი კაცი საკუთარ საქმეს!

დიდ ცეცხლს დიდი ბერვა უნდაო, ნათქვამია. ჩვენი დიდი ცეცხლია ჩვენი სათეატრო საქმე, რაც მთელი ჩვენი ერის ყურადღებას მოითხოვს, არა თუ მხოლოდ საკუთარ კაცებს.

საქართველოში არსად რიგიანი სათეატრო დარბაზი არა გვაქვს.

საქართველოში არსად რიგიანი დასი არა გვყავს.

საქართველოში ჯერაც კიდევ არა გვაქვს მტკიცედ შემუშავებული რეპერტუარი.

საქართველოში ჯერაც კიდევ არა გვაქვს რიგიანი სათეატრო გამოცემა.

საქართველოში ჯერაც კიდევ არა გვაქვს რიგიანი დრამატიული ლიტერატურა.

საქართველოში მომქმედ დრამატიულ წრეთა შორის ჯერაც კიდევ ერთი ძაფი არაა გაბმული!

მოთხოვნილება კი დიდია, მრავალმხრივი და აუცილებლად დასაკმაყოფილებელი.

ქართული ეროვნული თეატრისა და საერთოდ ხელოვნების საქმე დიდს საფრთხეშია!

ცოცხალი და ცხოველი ძალები ქართული მელპომენეს გვერდს უხვევენ...

ყველაზე უნუგეშო მდგომარეობაშია თბილისის ქართული თეატრი, დასი და ქართული დრამატიული საზოგადოება.

გარდა იმისა, რომ საკუთარი ბინა არ მოეპოება, მრავალ მოქიშპე ძალებითაა გარემოზღუდული, თვით მისი შემადგენლობაც უფერულია, უნიათო, წყალ-წყალა!..

მაგრამ ეს როდი უნდა გვაკრთობდეს!

სწორედ ასეთმა მდგომარეობამ უნდა გაგვიცხოველოს მოქმედების უნარი, გაგვაკაჟოს!

ქართულ დრამატიულ საზოგადოების მომავალ საზოგადო კრებამ ყოველივე ეს ნათლად უნდა გაითვალისწინოს და ამ დიდებულ ეროვნულ საქმეს მართლა პატრონი გაუჩინოს — საკუთარი კაცი მიუჩინოს პასუხისმგებელ გამგეობითურ, თუ უნდა სამუდამოდ კარი არ შეიხუროს.

ეროვნული თვალსაზრისი

ბუნებაში ბრძოლა იმდენადვე აუცილებელი მოვლენაა, როგორც მოძრაობა. ყოველივე მოძრაობს — მზე, დედამიწა, ცთომილები, მთვარე, ვარსკვლავები. შეაჩერეთ ეს მოძრაობა და დაინგრევა, მოისპობა ყოველივე. თვით სიცოცხლეც მოძრაობაა და სიკვდილი — ამ მოძრაობის მოსპობა.

ბრძოლა სწარმოებს ყოველი ცხოველის, მცენარის არსებაში — ეს არის შინაგანი ბრძოლა. ბრძოლას აწარმოებს ყოველი ცხოველი, ყოველი მცენარე თავის გარეშე — ეს არის არსებობისათვის ბრძოლა.

მოსპეთ ეს ბრძოლა და მოისპობა თვითონ განვითარება — არსებობა.

ცხოვრება, განვითარება, წინმსვლელობა ამ ბუნებრივი აუცილებელი ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია.

ბრძოლა არსებობს ყოველს საზოგადოებაში, ყოველს ერში, — ეს არის ბრძოლა ცალკე პიროვნებათა, საზოგადოებრივ ჯგუფთა და კლასთა შორის. ყველა ეს ერთად აღებული წარმოადგენს ერის შინაგან ბრძოლას.

ბრძოლა არსებობს ერთა შორისაც — ერთი ერი ნიადაგ ცდილობს, მეორე დაიმორჩილოს ეკონომიურად, კულტურულად, მშვიდობიანის გზით, იარაღით და სხვ.

როდესაც თვალს გადაავლებთ ჩვენი საზოგადოებრივი ჯგუფების მოქმედებას, ერთი რამ აშკარაა: წარმოგვიდგება თ: შინაგან ბრძოლას ყველა დიდის ყურადღებით არკვევს და აღრმავებს, გარეშე ბრძოლას კი არავინ არ აქცევს ყურადღებას; ხშირად კი ეს ყურადღება მეტისმეტი დედინაცვლურია. მაგალითად, როდესაც „თანამედროვე აზრი" საქართველოს მომავალზე დაიწყებს წერას, უმთავრეს ყურადღებას იმას აქცევს: სომხები და სხვა ერები არ დაგვჩაგროთო.

იქნება ქართველი ერი ისეთ პირობებში ცხოვრობს, რომ მართლაც გარეშე ბრძოლას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს?

სწორედ ქართველი ერი იმყოფება ისეთ

განსაკუთრებულ პირობებში, როდესაც ამ გარეშე ეროვნულ ბრძოლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქართველი ერი მოკლებულია თავისუფალ არსებობას და განვითარებას; მას ადევს ბორკილები ისეთის სასტიკის რეჟიმისა, როგორსაც წარმოადგენს რუსეთის სინამდვილე.

საქართველოში მძლავრად არიან შემოჭრილი სხვა ერები—

ყველა ესენი ვითარდებიან, იზრდებიან,—მაშასადამე ფართო ალაგი უნდათ.

აშკარაა—ბრძოლა ამ ერთა შორის აუცილებელია. მართალია, ეს ბრძოლა არის მშვიდი, ბუნებრივი და არა შეიარაღებული, მაგრამ ნათქვამია: თუნდა მგელს შევუჭამივარ, თუნდა მგლის ფერ ტურასაო.

თუ კი ამ ბრძოლის შორეული შედეგი ქართველი ერის დასუსტება, დაძლევა და მოსპობა იქნება, იარაღიანი იქნება ეს ბრძოლა, თუ უიარაღო—სულ ერთია ქართველი ერი გულით მდიდარია, ჯიბით კი ღარიბი; ჩვენი მეზობლები კი ჩვენზე ბევრათ მდიდარი. მეტოქეობა ასეთ მოპირდაპირესთან ერთობ ძნელია. ამიტომ ქართველი ერისათვის ამ გარეშე ბრძოლას კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლევა.

ეჭვს გარეშეა,—ქართველი ერის მომავლის მატარებელი, ქართველი ერის ბედის მტვირთველი ქართველი დემოკრატიაა.

ის ვალდებულია, ქართველ ერს როგორც შიგნიდან გაუმაგროს წელი, ისე გარედან.

შიგნით ქართველი დემოკრატია შეგნებულად იბრძვის და თავის მიზანს ახორციელებს. გარედ კი ქართველი დემოკრატია შეგნებულად ვერ იბრძვის, ვერ უწევს ანგარიშს ყოველივე იმას, რაც ჩვენს გარეშემო ხდება.

რა არის ამისი მიზეზი?

ეროვნული თვითშეგნების სისუსტე, ეროვნული თვალსაზრისის უარყოფა. ჩვენი დემოკრატია კლასობრივად საკმაოდ შეგნებულია, საკმაოდ მომზადებული; ეროვნულად კი არა.

კლასობრივ ბრძოლას ის ნათლად ჰხედავს და არკვევს, ეროვნულს კი ვერა. კლასობრივ კითხვებში მას ვეღარ მოატყუებთ, ეროვნულში კი—რამდენიც გინდათ.

კლასობრივი შეგნება მის ხელში მძლავრ იარაღს წარმოადგენს, ეროვნული კი არა.

როგორც ეროვნული ბრძოლა ხშირად გაგრძელებაა კლასობრივი ბრძოლისა, ისე ეროვნული თვალსაზრისი ხშირად გაგრძელებაა კლასობრივისა.

მაშასადამე რადა საჭიროა რაღაც ეროვნული თვალსაზრისი, როდესაც მარტო კლასობრივი გვინათებს წინ ყოველივესო,—აი როგორი შემცდარი დასკვნა გამოჰყავთ ჩვენში ხშირად.

შვილი დედიდან იშობა, მაგრამ დედა და შვილი ერთი და იგივე არ არის.

ავიღოთ სულ ახალი მაგალითი.

საერობო თათბირის დროს ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა—უმრავლესობა და უმცირესობა.

უმრავლესობა ითხოვდა რუსეთში არსებულ წოდებრივ ერობას, უმცირესობა უწოდებრიო ერობას.

უმრავლესობაში შედიოდენ ქართველები, უმცირესობაში სომხები.

ეროვნული თვალსაზრისი თუ უარვჰყავით, უმცირესობის პროექტი ბევრით უფრო პროგრესიულია და უმჯობესი, ვიდრე უმრავლესობისა, რადგანაც უმრავლესობის პროექტი დაფუძნებულია დროს გადასულ და მავნებელ წოდებრივ პრინციპზე, უმცირესობა კი ამ პრინციპს უარჰყოფს და მის ალაგას აყენებს პროგრესიულსა და თანამედროვე პრინციპს—გადასახადს.

როდესაც თქვენ ეროვნულის თვალსაზრისით აღიჭურვებით, უმრავლესობის პროექტს არ მოიწონებთ, მაგრამ უმცირესობისაც უსათუოდ უნდა უარჰყოთ.

რატომ?

აი რატომ:

უმცირესობის პროექტი რომ განხორციელდეს, თბილისის გუბერნიის ერობაში უმრავლესობა ერგება სომხის ბურჟუაზიას.

ცხადია, სომხის ბურჟუაზია ქართველი გლეხობისათვის არასფერს არ გააკეთებს, ან გააკეთებს ძალიან ცოტას. ქართველმა გლე-

ხობამ უნდა იხადოს გადასახადი და ეს ფული კი უნდა ხარჯოს სომხის ბურჟუაზიამ ისე, როგორც მას ენებება.

შედეგათ რას მივიღებთ?

ჩვენი სოფელი გაჭირვებიდან ვერ გამოვა და ეროვნული სიძულვილი უმწვერვალესათ განვითარდება,

„თანამედროვე აზრი"-კი უმცირესობის პროექტს ქებით იხსენიებს. პრინციპიალურათ, რასაკვირველია, ისა სჯობია დღევანდელი ერობის დებულებას, მაგრამ როდესაც მას ეროვნულის თვალსაზრისით გავზომავთ, მთელის ჩვენის არსებით უნდა უარვყოთ, რადგანაც ის ქართველ ერს დიდ ზიანს მიაყენებს.

კლასობრივის თვალსაზრისით დასაგმობია უმრავლესობის პროექტი. ეროვნულის თვალსაზრისით დასაგმობია უმცირესობის პროექტი.

თუ ეროვნულ თვალსაზრისს უარჰყოფთ, მაშინ ორივე ხელით უნდა მიიღოთ უმცირესობის „პროგრესიული" პროექტი და ქართლ-კახეთის გლეხობას ყელი გამოსჭრათ.

ამგვარი მაგალითები სხვაც ბევრი მოიპოება იმის დასამტკიცებლათ, რომ ქართველმა დემოკრატიამ ყველა ადგილობრივი კითხვების რკვევის დროს მარტო კლასობრივი პრინციპით კი არ უნდა იხელმძღვანელოს, არამედ ეროვნულითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ის დიდ შეცდომებს თავიდან ვერ აიცდენს და ქართველი ერის მედროშე ვერ იქნება.

ეროვნული თვალსაზრისის უქონლობის ბრალია ერთის მხრით ისიც, რომ ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში ქართველი ერის მთლიანობა არ არის დამკვიდრებული.

რაც შინა ვართ ჩვენ, ისა ვართ გარეთაც. შინ ვიბრძვით, ვიყოფით პარტიებათ და ჯგუფებათ - ეს საჭიროა, აუცილებელია, საჭირველია.

მაგრამ ეს ბრძოლა და დაყოფა გაგვაქვს ზარეთაც. ამიტომ გარეშეც ისე გვიცნობს ჩვენ, როგორც შინაური.

შინ ჩვენ ვართ ფედერალისტი, სოციალდემოკრატი, ლიბერალი და სხვ. და სხვ. ეს ასეც უნდა იყოს.

მაგრამ საქმე ის არის, რომ გარეშესთვისაც ჩვენ მხოლოდ სხვა და სხვა პარტიის წევრები ვართ, რომლებსაც ერთმანეთთან საერთო არა გვაქვს რა.

ეს კი ასე არ უნდა იყოს, არა და არა.

გარეშესთვის უპირველესათ ყოვლისა ჩვენ ყველანი უნდა წარმოვადგენდეთ ერთ ქართველ ერს.

შინ ჩვენ შეგვიძლია დავიყოთ სხვა და სხვა პარტიებათ და ჯგუფებათ, რომლებსაც ერთმანერთთან ბრძოლა აქვთ. გარეშესათვის კი უნდა არსებობდეს უპირველესათ მთლიანი ქართველი ერი, რომელიც როგორც ერთი კაცი ისე დადგება ფეხზე საერთო საქმის დასაცავათ.

მაშინ ჩვენ გვექნება ძალა, მეტი პატივისცემა; ჩვენს საერთო ხმას მეტი მნიშვნელობა ექნება და უფრო გაუწევს მას ყველა ანგარიშს.

ჩვენში კი პარტიულმა მთელი გადაყლაპა.

ყველგან ყოველივე პარტიული მთელს ემსახურება. ჩვენში კი პარტიული ყოველისფერზე მაღლა სდგას და მთელი მას ეწირება მსხვერპლათ.

ნუღამც იქნება დღეიდან ასე!

ივ. გომართელი

ახ, ერთხელ მაინც...

თეთრი ღამეა... მოვნახე ველი,
მიმოფენილი მწვანე ხალითა,
ჩამოვჯექ ბუჩქთან და სატრფოს ველი,
ვარდის ღაწვებზე გიშრის ხალითა.
მაგრამ დრო მიჰქრის, ის კი არ მოდის
და მოთმინების ძაფი მიწყდება,
უკვე თენდება და მზეც, ჰა, მოდის,
საცაა ღამის ლანდიც მიწყდება.
ძუნწი ცხოვრება, უფერო, სადა,
მომწყინდა... სატრფოვ! სადა ხარ, სადა?!
მოდი! დამათვრე განცდათა გრძნობით.
დროთა სვლის ჟანგი გულზე მომბანე,
გვერდით მომიდეგ, ტკბილათ მომბანე,
ახ, ერთხელ მაინც მამღერე გრძნობით!

ვ. ...

დედა

მოთხრობა გ. პილიპოვიჩისა, უკრაინულიდან ნათარგმნი *)

უკრაინის ერთ-ერთ დაბაქალაქში ჩამოიყვანეს ერთი პირი კავკასიიდან ახლად გაწვეულ ჯარის-კაცებისა. უცნაური ხალხი იყო: ციგნებსავით შავი, შავ-წვერიანი; მათში ზოგი მაღალი, ტანადი და ახოვანი. შეგეშინდებოდათ მათი, როდესაც გამოიყურებოდენ თავისი შავი თვალებით და როცა ყაყანებდნენ რაღასაც უცნაურ დაგაუგებარ ენაზე. ტანზე დაგლეჯილ-დაცვეთილი ტანისამოსი ეცვათ, ზოგს ქუდის მაგიერ თავზე წაკრული ჰქონდა ჭუჭყიანი ჩვრები ან ცხვირსახოცი. ჩექმა ზოგს თუ ეცვა. უმეტესად ქალამნები, შიშველა ან დაძონძილ ჩვრებით შემოხვეულ ფეხზე.

საკვირველიც არ არის, რომ ამ ბრბო ახალ ჯარისკაცებისას, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ვაგზლიდან სოფელში, უკან მოსდევდა უფრო დიდი ბრბო ცნობის მოყვარე სოფლელებისა და ბავშვებისა, რომლებსაც უკვირდათ ამ სანახაობისა

სოფლის კანცელარიასთან ყველა ჩამოხტა და ვიღაც ცნობისმოყვარემ გაბედა ამ უცხოელების კითხვა:

— სადაურები ხართ, საიდან მოხვედით?— ეკითხებოდენ და ცდილობდნენ მოსკოური კილოთი გამოლაპარაკებოდნენ.

ამ საკვირველ ხალხიდან ვილამაც, რომელიც ალბად უფრო ნამყოფი და ჩვენებური ან მოსკოური ენის რამე გაეგებოდა, უპასუხა:

— კავკაზ... გრუზინ...

— კავკასიელები, ქართველები ყოფილან,—უხსნიდნენ თავისიანებს ისინი, ვინც ამათ ეკითხებოდა.

— მოლაშქრენი ხომ არა ხართ?—კიდევ ეკითხებოდნენ.

— Ополченъ...

— უყურეთ, ესენიც ისე ჩამოურეკიათ, როგორც ჩვენები,— ფიქრობდნენ. საკვირველია, ღმერთო! რამდენი ხალხი ყოფილა ქვეყნიერებაზე...

— ღმერთო, ღმერთო,—ამოიოხრა ზოგიერთმა.

— ე რა საკვირველი ხალხია!—უკვირდა ერთ დედაკაცსა.

— ქვეყნიერებაზე ყველანაირი ხალხია,— უხსნიდა მას ერთი მოხუცი კაცი.—იმათ თავისი არ უკვირთ, და ჩვენ ჩვენი. იქნება იმათ ჩვენი უკვირთ და თავიანთებურად გვსჯიან, უცნაურ ხალხად მივაჩნევართ.

— სწორედ ეგრე უნდა იყვეს,— კვერი დაუკრა ვილამაც.—მაგალითად, აი...

ამ დროს კანცელარიიდან გამოვიდა აფიცერი, რომელსაც გამოჰყვა რამდენიმე მოსკოველი **) და ჩაფარი. აფიცერმა სათითაოდ ამოიკითხა ჯარის-კაცების გვარები, მაგრამ ისეთი უცნაური სიტყვები იყო ეს, რომ მათი არამც თუ დახსომება, გამეორებაც კი ძნელი იყო. თავის გვარის გაგონებაზე ჯარის-კაცები გამოეხმაურებოდნენ ხოლმე. გაათავა

*) ამ მოთხრობის სათაურში ქართული სიტყვაა ნახმარი—დედა, Дядя. მოთხრობა ეკუთვნის უკრაინის ახალ მწერალს ეკიმ მოდესტ ლევიცკის. პილიპოვიჩი—მისი ფსევდონიმია. თვით ავტორმა გადათარგმნა ეს მოთხრობა უკრაინულიდან რუსულ ენაზე და დაბეჭდა ჟურნალ „Вѣстникъ Знанія"-ში 1916 წლის მაისის ნომერში. თვით ორიგინალი კი გამოაქვეყნა უკრაინულ კრებულ „Степ"-ში 1916 წ.

ეს მოთხრობა საინტერესოა ჩვენთვის რამდენიმე მხრით. ერთი რომ ჩვენ შეგვიძლია დავაფასოთ ავტორი, თუ რამდენად ნამდვილად გადმოგვცა ქართველ ჯარის-კაცის მდგომარეობა უცხო ქვეყანაში; მერე— იმიტომაა საინტერესო, რომ აქ გამოყვანილია ორივე ხალხის ნამდვილი შვილები: უკრაინის და საქართველოს გლეხიშვილები. მათ ესმით ერთი-მეორის დარდი და გაჭირვება და შედის ერთი-მეორის მდგომარეობაში. იმის მიუხედავად, რომ ეს სხვა და სხვა ტომის შვილნი არიან, მაგრამ მდგომარეობა, ყოფა მათი ერთნაირია. მესამე—ავტორი წითელ ხაზს უსვამს, რომ საქართველოს ბუნების შვილი ვერ იტანს ჩრდილოეთის მკაცრ, ცივ ბუნებას. მოთხრობას კიდევ ბევრი ღირსება აქვს, რასაც მკითხველი თვით მიხვდება.

მთარგმნელი.

**) უკრაინელები რუსებს მოსკოველებს ეძახიან. ჯარის-კაცებსაც მოსკოველებს ეძახიან. შეიძლება ჯ.—კ. ქართველთან უკრაინელიც იყვეს, მაგრამ რასან ჯარის-კაცური მაზარა აცვია, მოსკოველად სთვლის უკრაინის ხალხი. მთარგ.

თუ არა მათი გამოძახება, აფიცერმა უბრძანა:

— დანიშნულ ბინაზე წადით!

ისინი წაიყვანეს სამ ჯგუფად სამი ქუჩით სოფლელთა ქოხებში დასაბინავებლად.

იმავე დღის საღამო-ხანს მდინარის იქითა ნაპირას ბარბარე თავის ეზოს წინ ატუზულიყო და ცრემლ მორეული შესჩიოდა თავის მეზობელ ქალს.

— რა ვქნა, მე საწყალმა, რომ სახლში ჩამიყენეხი „აზიატები"?.. ბავშვებს შეეშინდათ, დაიმალნენ... მე, საბრალო ქვრივს, მიხსოველებმა ჯერ კიდევ შარშან შვილი წამართვეს, და ეხლა რაღა კანონია, რომ ის „აზიატი" საცხოვრებლად ჩამიყენეს? პატარა შეძლებულ კაცთან მაინც ჩაეყენებინათ... ეხლა რა უყო მე იმას? ჩემი ბარგი-ბარხანა ავკრიბო, ბავშვები წინ გავირეკო და სახლიდან გამოვიდე?.. მაგრამ სად წავიდე, რომ ყველგან არიან ჩაყენებულნი, სადაც კი გაიხედები. რა შემოსავლიანი მე მნახეს, რომ ჩემ თავს ძლივს ვარჩენ, მოდი და სხვაც არჩინეო.

— არა, ქალო ჯან, მათი რჩენა ხაზ-ნამ იკისრა, — დაამშვიდა მეზობელმა. — დანელიას სამჭედლოსთან სამზარეულოს უშენებენ. მეც ეგრე მეგონა, მაგრამ მამასახლისმა დამამშვიდა, მათ ხაზინა ასმევ-აჭმევსო, რომ ხალხი მშვიდად იყვესო. არც დიდ-ხანს იქნებიან აქაო: ენკენისთვის მიწურულში კიდევ იქით გაირეკავენო.

ბარბარემ თავი გააქნია.

— რა ვიცით, ჩემო კარგო, მართალია ესა, თუ არა? აი იმასაც კი იძახოდნენ, ომი სამ თვეს გაგრძელდებაო, მაგრამ უყურე, მეორე წელს გრძელდება! კიევში ამბობენ, ომი შვიდ წელიწადს გაგრძელდებაო.

— ღმერთმა იცის ნამდვილი და სხვა არავინა! — ამოიოხრა მეზობელმა: — ჩვენც სამი შემოგვაჩეჩეს... სად მოათავსებ, ჩვენც ვიწროობა გვაწუხებს. თქვენ, ჩემო კარგო, თქვენს გარდა მხოლოდ ორი ქალი-შვილი გყავთ, ჩვენ კი სახლი სავსე გვაქ. ზაფხული მაინც იყვეს, რომ კალოზე გაათენებდნენ ღამეს, მაგრამ ხომ ჰხედავ, — ღვინობის თვე ცხვირწინაა! ..

ღამეც აცივდა.

— ღმერთი გვსჯის და ჩვენთან ერთად მთელ საქრისტიანოს ჩვენი ცოდვებისათვის!..

— ქა, თურმე ჩვენი რჯულისანი ყოფილან ისინიცა, — უ მბობდა მეზობელი, — გუშინ საყდარში მიდიოდნენ და ყველა პირჯვარს იწერდა ისე, როგორც ჩვენა.

— ჩვენი სარწმუნოებისა? — გაუკვირდა ბარბარესა — მე კი თათრებისა მეგონა!..

— თათრებისა როგორ იქნებიან, რომ თათრებთან ომი გვაქ

— მაშ ქრისტიანები ყოფილან... რა დაძონძილები კი არიან. პატარა ბოხჩა მაინც ჰქონდეს ვისმე... შიშველ-ტიტველნი არიან! დაგლეჯილ ახალუხში ამოკრულან, უქუდო, ფეხ-შიშველანი... ე რა საბრალო ხალხი ყოფილა?

— ქვეყნიერებაზე თურმე ჩვენზე საწყალი ხალხი ყოფილა და... — წამოიძახა მეზობელმა.

— ჰო, ჩემო კარგო, ეგრეა, ეგრე.

— რა ენაზე ლაპარაკობენ, გეთაყვა? ერთი სიტყვა მაინც მესმოდეს მათი, როცა თავისებურად ყაყანებენ... რამეს რომ ჰკითხავ, სულ „ხარაშოს" გაიძახიან.

ბარბარეს გვერდში ამოუდგა მისი უმცროსი ქალიშვილი, ათი წლის პარასკა.

— დედილო, სახლში წავიდეთ!.. მცივა.

— წადი, ჩემო გოგონავ, ეხლავე მეც მოვალ.

— მეშინიან, დედილო, „ის" იქა ზის.

— მოტრია სადღაა?

— ბოსტანშია, კართოფილსა სთხრის.

— შესძახე ერთი, ყველა ერთად წავიდეთ დროა ვახშმი შევდგათ ცეცხლზე.

და სამივე სახლში წავიდა: ასე თითქოს არაა საშიში; თუ კი ბავშვებმა კვილი ასტეხეს, მაშინ ხალხს დაუძახებ. იფიქრა ბარბარემ.

„ის" ტახტზე ფანჯარასთან ჩამომჯდარიყო, იდაყვებით ზედ დაყრდნობილიყო და და გარედ გაიცქირებოდა. ციგანივით შავი იყო, თმა ხუჭუჭა, პატარა შავ-წვერა, ჩინ-ჩხვარივით წვრილი, მაგრამ მაღალი, ისეთი მაღალი, რომ ზეზე რო ადგებოდა თითქმის ჭერსა სწვდებოდა. ისეთი მწუხარე და მოღუშული სახე ჰქონდა, თითქოს ვინმე ნათესავი

მოჰკლომოდეს. ტანზე ძველი ახალუხი ეცვა, იდაყებ გამოგლეჯილი, დახეული შარვალი, შიშველა ფეხზე ქალამნები ეცვა, გამხმარ წვივებზე ბაწარით შემოხვეული.

შემოაღო თუ არა ბარბარემ ქალიშვილებით კარები, „იმან“ აქეთ მოიხედა, თავი დაუკრა და ისევ ფანჯრისკენ მიტრიალდა.

— ბავშვებო, მისი ნუ კი გეშინიათ: ისიც ჩვენი რჯულისაა, — დაარიგა ბარბარემ თავის ქალები. — შემოიტა, მოტრია, ფიჩხი და ფეჩს შეუკეთე.

მოტრია გარედ გავიდა. ბარბარე ჭურჭელს დასტრიალებდა, ჰარასკა კი კართოფილს ფცქვნიდა.

უცბად „ის“ ტახტიდან წამოიჭრა და საჩქაროდ ოთახიდან გარედ გავიდა წელში ორად მოხრილი, რომ კარისათვის თავი არ მიეკრა.

— სად მიდის? — იკითხა გაკვირვებულმა ბარბარემ და ფანჯარას მივარდა.

ეზოში მოტრია შეშასა სჩეხავდა. „ის“ მივიდა მასთან და ცული გამოართვა. მოტრიამ შიშით უკან დაიხია. „მან“ კი ისეთი შეშის ჩეხვა იწყო, რომ არემარეს გუგუნი გაჰქონდა და ცულს წკრიალი. მართალია გამხდარი იყო, მაგრამ ღონიერი, მძლავრი.

მოტრია იქვე „მის“ გვერდით იდგა და რამოდენიმე ხანს გაკვირვებული შეჰყურებდა „ბზიატსა“. მერმე დაჭრილი შეშა აკრიბა და სახლში წამოიღო.

— ისე შემეშინდა, როცა ცული გამოართვა, რომ შიშით მუხლები ჩამეკეცა; თან ვფიქრობდი: ცული თავში არ ჩამკრას მეთქი!..

— აბა რად უნდა ჩაეკრა? — მიუგო გულნატკენმა ბარბარემ. — ისინიც მონათლულნი არიან... ხომ ჰხედავ როგორი საბრალონი არიან, როგორც მათხოვარნი... მათ ჩვენზე უფრო დიდი დარდი აწევთ გულზე.

მირ. ხარხელი.

(გაგრძელება იქნება)

კრიტიკული შეცდომები

V

შინაარსი და გარეგნობა.

სანამ რეალურ მაგალითებზე გადავიდოდე, სანამ ამათ ნაწერებს შეეხებოდე, ვისზედაც ჩვენი კრიტიკის შეხედულება შემცთარად მიმაჩნია, — მოკლეთ ადგენიშნავ იმ საფუძვლებს, რომლითაც მე ბოეტური ნაწარმოების დაფასებაში ხელმძღვანელობ.

ბოეტური ნაწარმოები გენიოსური მხოლოდ მაშინ იქნება, თუ შიგ დიადი საკეთრიოთ ზრდილ არის გატარებული და მშვენიერი გარეგანი ფორმითაც არის იგი გამოსატული. და თუ რომელიმე მაგანი (შინაარსი ან გარეგანი ფორმა) ეოწლობს, ნაწარმოები, რა თქმა უნდა, ძალიან შორს იქნება გენიოსური ქმნილებისაგან: იგი იქნება საშვალო ან სუსტი ნაწარმოები.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში უმჯობესია შინაარსი ეოწლობდეს, ვიდრე გარეგანი ფორმა. ბოეტურ ნაწარმოებში გარეგნობა უმთავრესი მხარეა. ბოეტური ქმნილება ფიდოსოფიური ტრაკტატი რადა, სადაც შეიძლება მკითხველმა-მკლევარმა დიდი მოთმინება იქონიოს და სანთლით ეძებოს საყურადღებო აზრები და საბუთები. ბოეტური ნაწარმოები უნდა ატკბობდეს სმენას, უნდა ხიბლავდეს ესთეტიურ გრძნობას და იტაცებდეს გონებას. აბა რა ბოეტური ნაწარმოებია იგი, რომლის კითხვასაც დაიწყებ — და მოთავება გეძნელება, გეზარება! თუ მოთავებ, მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობით: ვნახოთ მაინც, „რა უთქვამს, რა მოუხმახვს, რა წიგნი დაუწერია!..“ არა, ბოეტური თხზულება ისე უნდა გიზიდავდეს, როგორც მწეურვალს მოხეხნუხე წყარო, როგორც სიბნელეს და სიცივეში მყოფს — მზიანი დღე, კეფურჩქენილი ბუნება!..

ბოეზია იგივე მუსიკაა — და მუსიკა მხოლოდ მაშინ არის სათაყვანო, როცა იგი ჭარმონიულია, როცა სმენას ატკბობს, გულს ესალბუნება, სულს ენეკტარება...

ფილოსოფიურ-სამეცნიერო თხზულებაში უმთავრესი — შინაარსია, ბოეტურ ნაწარმოებში უმთავრესი — გარეგანი სილამაზეა, მოხიბლვა, წარმტაცი გარეგნობა. რა მეცნიერებაა იგი, რასაც არ აქვს საგანი და შინაარსი, რაც არ ასაზდოებს თქვენს გონებას? რა ბოეზიაა იგი

რაც არ სიბოლოვეს და არ ატკბობს ოქვენს სმენას, გულსა და სულს? ბოეზია, თუ გნებავთ, თავისთავად შეცნიერებაა, სიბრძნეა, ტხოვრების ფილოსოფია. „შაირობა ბირველადვე სიბრძნისა ერთი დარგია,—მაგრამ აშასთანავე—სიდეთ სიდეთად გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“.

VI

„სიტყვიერობა“ და გრძნობიერობა

რა არის ბოეზია? როგორ ნაწარმოებს ეწოდება ბოეტური? ბევრ მკითხველს—და ზოგიერთ კრიტიკოსსაც კი—ეგონა წარმოდგენა აქვთ ბოეტურ ნაწარმოებზე, ბოეზიის უმთავრეს თვისებასა და მხარეებზე. თუ ნაწარმოებში მრავალთა არის „ლამაზი სიტყვები“, ეშმაკური დაგრეხილ დაკვანძული ფრაზები,—ეს არის მათის აზრით ჭეშმარიტად ბოეტური ქმნილება, ამგვარი ნაწარმოები „ბოეზიის ზღვაა!“

მე-კი ვფიქრობ, რომ უმთავრესი ბოეტურ ნაწარმოებში—გრძნობიერობაა, გინა მგრძნობელობა, გრძნობის სიწრფელე, გულის ამტაკებელი—მხიარულებით გინა მწუხარებით—დებულება, სიტუაცია, მომენტი თუ რა საშუალებით იწვევს მწარადი მკითხველში უმაღლეს სიხარულს გინა მწუხარებას, ეგ სხვა საკითხია: ბოეტს ლამაზი შეადრეკინიც უნდა ეხერხებოდეს, ტრიბები, ფიგურები და—ბოეზიის თეორიაში—ადნიშნული—ეთვალეგარი ტონებიდი აქსექსუარი ბოეტური ნაწარმოებისა; მაგრამ უმთავრესი მაინც ის სერია, ის დაბრისბირება შინაარსის მუხლებისა, რომელის საშუალებითაც მწარადი იწვევს გრძნობათა ღელვის საშუხარეთ თუ საშხიარულოთ.. უმთავრესი—გრძნობიერობაა.

ამ აზრის დასამტკიცებლათ მოგიეგონ ერთ ადგილს ილია ჭავჭავაძის ბოემის „კაკო უაჩაღიანი“, სახელდობ იმ ადგილს, რომელ ზაქრო უამბობს კაკოს თავისი მამის თავგადასავალს ბატონის სულში.

ბოემის ეს ადგილი არ არის შესანიშნავი არც ბოეტური მეტაფორებით, არც ბოეტური შედარებებით და საზოგადოთ გარეგნული ბოეტური სილამაზით; ბირიქით, სულ უბრალო, ჩვეულებრივი სტიკვებით არის მოთხრობილი მთელი ეპიზოდი, თუ როგორ უსამართლოთ მოექცა ბატონი ზაქროს მოხუც მამის. მაგრამ ბოეტს ისე დაუბრისბირებია ერთმანეთისათვის კაკოს სამართლიანი გულისწერომა, რომელ ოქიქრობდა, რომ ზაქროს გულხელდაკრეფილი უყურებია ამ საშინელი უსამართლობისათვისა, და შემდგომ ის ადტაცება, რომელიც გამოიწვია კაკოში ზაქროს მიერ ნამდვილათ ჩადენილი საქმეულის გაგებამ,—ისეთი სინამდვილითა არის გამოხატული ეს ფსიხოლოგიური მომენტი, უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანთა სულის კვეთება, რომ კაკოს უადრეს ადტაცებასთან ერთად მკითხველიც უმაღლეს ადტაცებასა გრძნობს, კაკოსთან ერთად მკითხველის გულიც წამით განრისხებულია—და, სინამდვილის გაგებისთანავე—უძლიერესი სიხარულით ატოკვება ხოლმე.

კაკო შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!
მითხარ დედალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნედა გული იმ დროსა?
იქ რომ მდგარვიყავ, ჩაგაძალებდი,
ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსა...
რას უყურებდი? ნუ თუ სეირსა—
როგორ სწუწვნიდენ მამა-შენს სისხლსა!..
ფუ, შენს ნამუსსა, მამაშვილობას,
ფუ შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
მამას გიკლავდენ, არ ილებდი ხმასა...
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!..
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აკუწე
სულწაწყმედილი შენი ბატონი!..
ე მაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი
ჩემთან მოსვლასა როგორ ბედავდი?!
ნუ მარცხვენ ყაჩალს, გამეცა, წადი!..
შენ, ძმავ, ყაჩალად არ ვარგებულხარ...
შენ დედაკაცად დაბადებულხარ...
ფუ, მაგ კაცობას!..

მხედარი. კაკო, ნუ სწყრები!
კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლ ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც გავექცევი ხმალში კაკოსა!..
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს
და იმის პატრონს ნუ მეძახი მხდალს ..
ეგრე ნუ მძრახავ.. მომიგდე ყური:
მინამ ბატონი ხელითა სცემდა,
როგორცა ძ ღლი ხორცსა ვიგლეჯდი...
„მოჰკალ“—რაღაცა ხმა მაძალებდა,
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა—ვიცი, მამას მოჰკლავდენ,
მკვდარსა თუ ცოცხალს—კბილით შესჭამდენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი,—

და არ მომეკლა—ულვთოდ სტანჯავდენ...
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი...
მაშინ კი, როცა წამოიჭრიეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს,—
თვალთ დამიბნელდა, ამენთო გული...
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდან გადვიგდე მაშინვე თოფი—
და რო ყვიროდა „დაჭკარ, დაჭკარი!"
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის ფიცარი—
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამლუპველსა,
თავის თავის დასხვის წამწყმედელსა...

კაკო. შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილ ხარ, ხმლისა დამშვენი!..
შენ დ გიკვეხოს შენმა მშობელმა,
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია!..
ეი დალოცოს ის ქრისტე ღმერთმა,
ვისაც შენებრი დაბადებია!

ფერადოვანი სურათიანი წყობილსიტყვაობა, ფერადოვანი ფერადი პოეტური სიტყვაკაზმულობა ვერ დასტოვებს მკითხველის გულსა და გონებაში ისეთს დრმა კვალს, რაოდენსაც სტოვებს ამგვარი, გრძნობათა ამშლელი, ფსიხოლოგიური გამოსტულება.

ნეტავი იმას, ვისაც ძლიერი გრძნობა ძლიერესავე პოეტური ენით, მხიბლავი სურათიანი ფორმით აქვს გამოსტულნი! ეტად იშვიათია ამგვარი ნიჭი—და იდეას ენა ამ მხრით არ არის წარმტაცი; მაგრამ, სამაგიეროთ, მისი პოემები ასრულების სიდრმით და გრძნობათა ძლიერებით აკაკისაზე ბევრად უფრო ძლიერად ხიბლავს და ბოჭავს მკითხველის სულსა და გულს...

დიახ, პოეზიაში გრძნობიერობას უპირველესი ადგილი უჭირავს. ამასთან ერთად ეს უნდა გვახსოვდეს, რომ შინაარსი მკითხველისათვის კარგები ენით უნდა იყოს გამოსტულნი, მკითხველს—რასაკვირველია შეგნებულს—გაუჭიერებლად უნდა ესმოდეს წაკითხული, და მხოლოდ მაშინ იგრძნობს იგი ნაწარმოების კარგად სილამაზეს და შინაარსის მოზიბლობასაც, მხოლოდ მაშინ ატოკდება მისი გული მხიარულებით გინა მწუხარებით. გეტეს „ფაუსტი" საუკეთესო ნიმუშია ამ აზრის დასასაბუთებლად: პირველი ნაწილი ამ პოემისა ხიბლავს და ატკბობს ოდნავაც არის შეგნებულ მკითხველს, რადგან ესმის მისი ენა ოდენ ამ ნაწილი კი თვით კრიტიკოსებსაც არ ესმისთ—და იმის მშვენიერებას მხოლოდ მეტიზარა მკითხველი თუ დაადასტურებს, რათა თვისი ვითომდა—შეგნებით ბრბოში თავი მოიწონოს.

სილოვანი



ეგ. ნინოშვილი (1861—1894)
მოთხრობის „მოსე მწერალი"-ს

მოსე მწერალი

(პიესა 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან
ეგ. ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული
გრ. საქარიქედელის მიერ

მოქმედნი:

1 **მოსე** ბულფუჭაძე, სოფლის **მწერალი**
2 **ბაბალე** უნათლოშვილისა **ქვრივი**
3 **სოფონა**, მისი უფროსი **ვაჟი**
4 **ოქრუა**, **უმცროსი** ვაჟი
5 **თებრო**, **ტოლი** სოფონასი
6 **ათანასე** მდგელი 75 **წლ.**
7 **მარინე**, **მღვდლის** ტოლი (**მოსუტი.**)
8 **მატათი**, **მეზობელი** ქალი ბაბალესი
9 **გამომძიებელი**
10 **სოფლის** **მამასახლისი**
11 **კანცელარიის** **მსახური**
12 **ნაცვალი.**
13 **კეთილსინდისიერი**
1 (
2 (**გლეხები**
3 (

გლეხები, ჩაფრები.

მოქმედება პირველი

სცენა: სოფლის სასამართლოს დიდი ოთახი; ქვედლზე ხელმწიფის სურათი და სხვა და სხვა განცხადებანი გრძელი მაგიდა, როველზედაც აწყვია რაოდენიმე საქმის წიგნი. მაგიდის ახლო დგას ორი სკამი (ტაბურეტკა). ამი კარი. სცენაზე წამოწოლილია სამი ბლეხი, ერთი ჩიბუხს ეწევა. მსახური მაგიდას წმენდს).

I

გლეხები და მსახური

1 გლეხი (ამთქნარებს ზანტად) ალარ მოვიდა ჩვენი მწერალი. სამი დღე აქ დავიარები, მიზარებს და შინ არ მხვდება.

3 გლეხი იმას რა ენაღვლება, ბძანების მეტი რა ეხარჯება (მსახურს) შენ არ იცი, ბიჭო, როდის მოვა მწერალი?

მსახური. (ამაყად) მე რა ვიცი. რა მის მესაიდუმლე ვარ. მისი ნება არაა, როცა მობძანდება.

1 გლეხი. ჩვენ მოვცდით ბიძია.

მსახ. მოცდით, თორემ რაც თქვენ „ჩინოვნიკები" ხართ, სამსახურიდან არ დაგითხოვენ.

2 გლეხი. რას აბდლობ, ბიჭო, დღეს ყანა უნდა გამეტეხა სულსას. ჩინოვნიკიც ყანით ცხოვრობს და შენი მწერალიც.

II

იგივენი და ბაბალე

ბაბალე. (გლეხებს) დილა მშვიდობისა!

გლეხები. (ერთად) იცოცხლე ბაბალე!

ბაბ. (მსახურს) მწერალი სადა ბძანდება?

მსახ. მწერალი წუხელი შინ წაბძანდა და დღეს მოვა. შე დალოცვილო ამ ცის ალიონზე რომ ჩამოგირბენია, მწერალი თუნდ აქანაი ბძანებულიყო, ჯერ კი არა—საღილობამდე არ გაიღვიძებდა.

ბაბ. გასაჭირი მადგია, შვილო, გასაჭირი, თორემ აქ მოსვლა არც მე მიხარია. (ჯდება)

მსახ. ეი, აქანაი არ იქნება ჯდომა, მწერალი გაჯავრდება! აი იქით დაჯექით კუთხეში. (ხელს უთითებს)

1 გლეხი. (დგება) დიდება შენდა ღმერთო ჩვენო, ამ სახლის აგების გადასახადში ტყავი გაგვაძრეს და ახლა—აქ ჯდომის ნებაც არ გაქვთო.

ბაბ. მალე სამხრობა მოაწევს, მწერალი არსა სჩანს. (იხედება ფანჯრიდან)

2 გლეხი. ნამეტანი აგვიგდო ჩვენმა მწერალმა. დაგვიბარებს: დილას ჩამოდით, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჩამოხვალ და იმას ვერ ნახავ კანცელარიაში. მოდი ახლა იმას უყურე საღამომდინ და გაატარე ეს მშვენიერი სამუშაო დღე.

1-გლეხი. ჩვენი ბრალია, ძმაო, რეიზა ვიყენებთ მწერლად იმისთანა კაცებს? ჩვენ რომ გვაამოს, იმისთანა დევიყენოთ და ქე იქნება.

3 გლეხი. ეხ, რა ვიცი გუშინ „საბოროშჩიკებმა" მის ჯამაგირში ცული და ქვაბი წამართვეს, ცხენი ჩვენ უყიდეთ და უნაგირი. რა ენაღვლება, „დაგულაობს" ის კაცი.

2-გლეხი. ჩვენ რომ გვაამოს იმისთანა დევიყენოთო, მერე და ვინ გვკითხავს ჩვენ დაყენებას ან გადაყენებას. თვითონ აყენებენ, შენ უნდა მიიღო, მეტი რა გზა გაქვს.

1-გლეხი. გვატყუებენ, ძამიავ. უწინ გამოგვიცხადეს: მწერალი და „უჩიტელი" სოფლის საქმეაო, ახლა აღარაფერს გვკითხავენ.

2-გლეხი. ბიჭო, მამასახლისის ამორჩევა არ წაგვართვან და სხვას ნუ ჩივი.

3-გლეხი. დატურ, მართლა მეც გავიგე გლეხის ყრილობას მეველის და იასულის მეტი, სხვა მოხელეების ამორჩევის ნება არ ექნებაო.

1-გლეხი. შენი ჭკუით ახლა კი გვაქვს უფლება! მობძანდება „პრისტავი" და ვინც თვითონ სურს, იმას გვაჩეჩებს მამასისხლად ხელში. ჩვენ ამორჩეულ მამასახლისს ორ კვირაში გამოცვლიან, ერთობის მამასახლისი ამოურჩევიათო დაგვწამებს „პრისტავი".

2-გლეხი. ეხ, ძმაო ,ტყვილა ლაყბობას თავი დაანებეთ; თქვენ მაგითი ვერას გააკეთებთ. თქვენ ეს მითხარით, წვიმა რო აღარ მევიდა რაღაის ბრალია! წისქვილები აღარ ბრუნავს! აგერ დამეხოცება ბაღნები უჭამლოთ.

III

იგივენი და სამი გლეხი.

გლეხები. გამარჯობათ!

1-გლეხი. წვიმა რომ აღარ მოდის ეს მისი ბრალია, ძამიავ, რომ უქმეებს აღარ ვინახავთ, აღარ ვმარხულობთ, ღმერთს აღარ ვლოცულობთ და რა ვიცი, გეირყვნა ქვეყანა.

2-გლეხი უი, მოგიცლია, ბიძიავ, შენ! მუდამ რომ ვმუშაობ, მაშინაც ვერ გაუძეხ ოჯახს და ათას გადასახადს, შენ კიდევ უქმეები გახსოვს!

1-გლეხი. იგია, ხო. იმიზა არ გაქ ხეირი, უქმეს რომ ტეხ. უქმი დღეს ნამუშევარს რა ხვავი და ბარაქა ექნება. (დასასრული)

2-გლეხი. მერე შენ რომ არ ტეხ უქმეებს. ნეტაი შენ რაღა „როშილდი“ ხარ ჩემზე! შარშან არ იყო, რომ ფოშტის ფულში შენი რძლის ნამზითავი ხანდუკი წაგართვეს! (გლეხები იცინიან. სიჩუმე).

1-გლეხი. (ბაბალეს) შენ რაღაზე მოსულხარ აქ ბაბალე, ჩვენი მწერლის ნახვა ხომ არ მოგინდა?

ბაბ. მწერლის ნახვა-კი არა, ძალიან საქმე მაქვს.

3-გლეხი. მაინც? არ ითქმის?..

ბაბ. დასამალავი რა არის ვაჟო; მარტო ჩემ თავზე ხომ არ არის ეს უბედურობა: რუსს ყველა კი მიყავს „სალდათად“. წელს ჩემი ოქრუა არის აწერილი სალდათათ. მინდა როგორმე მოვახერხო და დავარჩინო; ხომ იცი ჩემი ამბავი: ქვრივ-ოხერმა გაჭირვებით გამოვზარდე ორი შვილი, მაგა რომ მოუკვდათ პატარები იყვნენ. მინდა არზა დავაწერიო, (ტრუმლები მოადგება ქმრის მოგონებაზე).

1-გლეხი. ტყვიღია. კენჭი თუ ერგო. ალარაფერი ეშველება.

3-გლეხი. არა, ჩვენმა მწერალმა თუ მოინდომა და ქალალდი გააკეთა, უეჭველად გასჭრის. მაგრამ ფულს კი ბევრს გადაგახდევინებს.

ბაბ. არ დავეძებ ფულს, ერთი ულელი მარჩენალი ხარი მყავს, გავყიდი და მივცემ. (ტოტა ხნის შემდეგ) არა, არა, რაც უნდა დამიჯდეს ჩემს ოქრუას სალდათათ ვერ გავგზავნი. ნენა, თურმე საცოდავებს მატლიან შავ პურს და აყროლებულ ნახარშს აჭმევენ. საცოდავმა გულქანიის ბიჭმა იქინეი დალია სული. ღმერთმან ნუ შემასწროს ჩემი ... რუა სალდათათ დამეგულებოს.

1 გლეხი (კიახედავს კარებში) მგონი მოდის ჩვენი მამასახლისი. მიქოს, ახლა წითელი ჩოხა შეუკერავს ჩვენს მამასახლისს.

2 გლეხი. რაც ეგ ქრთამებს იღებს, წითელსაც შეიკერავს და ყვითელსაც.

3 გლეხი. სუ, კაცო, გეიგონებს, მოვიდა ვგონებ.

2-გლეხი. გეიგონებს, თორემ ყურებზე ხახვი არ დამიჭრას. ერთი ტყავი მაქვს, იმას, ქე მაძრობენ და სხვას რაღას მიზამს?

1-გლეხი. გასაკვირველია, ღმერთს გეფიცებით! ხომ ჩვენისთან ყაძახია, ჩვენი ამრჩეული, მაშ რაღაზე გვეშინიან მისი?

3-გლეხი. კალონის ძალით არის და მიტომ გვეშინია.

1-გლეხი. ქრთამებს რომ ღებულობს და ყალბ ქალალდზე ბეჭედს ასვამს, იგიც კალონის ძალით არის? (გლეხები იცინიან)

IV

იგინიგე და **მამასახლისი.**

მამასახლისი (მოვრბალია, მთრახით შეუტევს გლეხებს. გლეხები აქეთ-იქეთ იწყვენ) თქვ...ენ აქ-რად შე-გი-ყრი-ათ თა-ვი, გადით. (წაიქცევა ტახტზე და ჩაეძინება)

2-გლეხი. აგი ისე გახეთქილა დღეს საცხა, რომ ვინმე ალალ-მართალს დაღუპავდა ყალბი ქალალდით.

1-გლეხი. ესეც კალონის და „კოპიის“ ძალით არის, არა? **გრ. ხაქარიქედელი.**

(გაგრძელება იქნება).

არა ჩვეულებრივი კაცი

სედრაკ თარაიანი

სხვა სახელით ვერ მომინახავს ეს ტანით პატარა, სულით დიდი ადამიანი, რომელიც გასულ პარასკევს, გიორგობისთვის 25, თბილისში გარდაიცვალა

ს. თარაიანი შეპარული სომეხი იყო. დეპეტიგის უნივერსიტეტში ფილოსოფიის დოქტორის სარისხით სწავლის დამთავრების შემდეგ სამშობლოში რა აბრუნდა, სამწერლო და სამასწავლებლო მოღვაწეობას შეუდგა. თვალსაჩინო თანამშრომელთაგანი იყო „მურჯი“-ს, საკუთრივ სომეხურად გამოსცემ კეთილი ფურნალი „ნენკერ“ („პეშხანაკი“), ამ ორი წლის წინად რუსულად სცემდა გაზ. „Восток“ („აღმოსავლეთი“-ს), აგრედვე თანამშრომლობდა სხვა გამოცემებში და ბევრსაც სწერდა.

სხვათა შორის შეადგინა საკუთარი მარადწერა და ჭსურდა სომხური სოგები დაეთანურიო შეეცვალა.

მისი გრძელი ნაშრომია **მიდდერის ბიოგრაფია.**

კითხულობდა ლექციებსაც.

თითქმის უოველი მისი ნაწარმოები ანუ

საჯარო სიტყვა საადმზრდელო-საშქოლებლო კიდოსი იყო.

უკანასკნელად ამ ერთი თვის წინად შეეხვდა სომეხთა მოდვაწის ტიგრან ნაზარიანის სალონში, სადაც სომეხ-ქართველთა ურთიერთობასა და მწერლობაზე იყო საუბარი.

მისი საერთაშორისო ძმობის სიტყვა ბევრმა თანამემამულის პირისახეზე თითქო დაცინვის დიმს იწვევდა, მაგრამ დაკვირვებული გონება შენიშნავდა, რომ იგი ზოგიერთ თანამემამულეთა დღევანდელ კატეგორიულ მისწრაფებას ბევრით აშორებდა...

შუდლი, განხეთქილება არსებობს არა თუ ერთა შორის, არამედ თვით ამა თუ იმ ერის სხვა და სხვა წოდების შორის, თვით ერთი ოჯახის წევრებში, თითოეული ადამიანის ტვინში, მაგრამ კატეგორიობის ბედნიერება თხოულობს ამ კატეგორიულ განხეთქილების მოსპობას.

კატეგორიობას დღევანდელმა განრწნილმა ეგოიზმმ ვერ მიანიჭა ნეტარი და ნათელი ცხოვრება,—ამას ადმოსავლეთიდან უნდა ველოდეთ..."

კატეგორიობას ჭეშეს სამი უდიდესი მოძღვარი: სოკრატი, ქრისტე და ტოლსტოი,—ეი რომელთა მოძღვრების თანახმად უნდა გარდიქმნეს ადამიანთა ცხოვრება..

ადამიანთა მისწრაფების მიზანი უნდა იყოს სულიერად განსვეტკება—ამაღლება და არა ურთიერთის ქირდვნა...

აი, ფრიად მკრთალი ქარგა მის რწმენა-შესაღეფებათა. დრო და საშუალება ნებას არ გვაძლევს ვრცლად შეეხოთ მის დასასიათებას; ამას კი ვიტყვით, სომხის მოზარდი თაობა მომავალში უფრო დაუკვირდება თავისი ერთი საუკეთესო მოაზრე-მასწავლებელთაგანის გულისთქმით,

ასეთი კაცის ნაადრევი გარდაცვალება (ჯერ 50 წ. იქნებოდა), ფრიად საამწუხაროა დღეს, ამ საერთაშორისო დაუნდობლობის სანაში, რადგან არა თუ კერძო ადამიანის პიროვნება, თვით ერთა თავისებურობაც ფეხქვეშაა გაქცდილი...

ხმა მისი შუალმ გულს უფონებდა შეგნებულ მსმენელს და მოაგონებდა, რომ კაცთა შორის, ადამიანზე ურთიერთის შეჭმა-შეუღამვის გარდა, კიდევ სხვა რამეა,—უმადესი იდეალი ძმობა-ერთობისა...

დიდ, ის—სედრაკ თარაიანი—არანგეულებრივი კაცი იყო, მაგრამ ადამიანთა წინსვლაც სომ სწორედ არანგეულებრივ ადამიანთა ამაღლება-შეუპყობის შედეგია.

ის გარდაიცვალა, მაგრამ მისი ნაამაგარი არ მოკვდება კაცთა სულოვნაში...

იოსებ არიმათიელი.

სიმღერა

ხან ოცნებით ვფრინავ ცაში,
ხან მიწაზე დავეშვები,
ხან ვიცინი და ვნეტარებ,
ხან კი სევდით ვიწვი, ვდნები;
ხან მსურს გულში ჩავიკონო
კიდით-კიდე, ზღვა-ხმელეთი,
ღარიბ ბედის მომღერალი,
ხან მონა ვარ, ხან კი ღმერთი;
თუნდ ქვეყანა ყალყზე დადგეს,
ახმაურდეს ჯოჯოხეთი,
თუნდ ჯვარს მაცვან და მაწამონ,
მიყვარს ერთი! მიყვარს ერთი!
ვერსად ვპოვო მისი დარი,
თუ გინდ მოვლო სულ. ხმელეთი,
იგი ჩემი სამშობლოა,
ჩემი სულის შემაერთი!..
ან ვით ძალმიძს არ მიყვარდეს,
ჩემი სატრფო, ჩემი სული,
სად სიყრმითვე ვნავარდობდი,
სიხარულით გარ-მოცული.
სადაც დედამ ტკბილ ძუძუთი,
წმიდა გრძნობით გამომზარდა,
და ჩემს სულში ჩემი ქვეყნის
სიყვარულის გვირგვინს წნავდა.
ვინ ამოფრხოს გულის გრძნობა,
რაც აკვნითვე შამეზარდა!..
ვაი იმას, ვინც სიბრმავით
გარდიქმნა და გადაგვარდა...

დარია ახვლედიანი

თუშური ლეკსი

ასეთნი ჩემნი მამულნი
მთას ქორებულად ქრიანა,
მაღლა ჭრიოხით ნადირსა
დაბლა ჭალაში ჭყრიანა,
მოყმესა შენისთანასა
წელზედით ხმალსა ხსნიანა,
ართმევენ თოფ-იარაღსა,
ცოლსა ნანდობა ჭყრიანა.

გედ. გელოვანი

სოფელში

თოვლი ცვიოდა ციოდა, ქარი ხვნეშოდა, ღმუოდა,
ნადირი რბოდა, დაძრწოდა, საქონელს ჰფლეთდა, ყმუოდა.
სოფელი ჰკვნესდა, სტიროდა, ცრემლი ღვარადა სდიოდა...
ყორანი თავსა ჰკიოდა, სწიოდა, ყველგან დიოდა.
ნაფუზარს უპატრონობა დასტყოდა, ფერი სდებოდა.
ვენახი იკაფებოდა, ხმებოდა, ტიალდებოდა.
შვილი ობლადა რჩებოდა: შიოდა, კარზე ვიდოდა;
დედა—იმედი ოხრავდა, ლოდინში სული ხდებოდა;
მამა-კი ჰბრძოდა სადღაც შორს, ვინ იცის, სადა კვდებოდა?..

ს. ერთაწმინდელი

სესხი

ვიქტორი მოდის ჩემთან სახლში სწორედ იმ დროს, როდესაც მშვენიერ გუნებაზე ვარ.— ნასადილევს.

— გამარჯობა, გრიგოლ.

— გაგიმარჯოს, ჩემო ვიქტორ.

— ჩემო ვიქტორ! ხე! ხე! ხე! მაშ მე შენი ვიქტორი ვარ? შენი, შენი საკუთრება?

— ხომ არ გეწყინა? ჩემი საკუთრებისაგან ღმერთმა დაგიფაროს.

— რას ამბობ კაცო! შენგან მეწყინება რამე?.. შენგან?.. მე?..

მე უკვე ვიცი რისთვისაც მოვიდა ჩემთან ვიქტორი.

— დაჯექ, ვიქტორ.

— მადლობელი ვარ! დიდი მადლობელი! ! ხე! ხე! სწერავ რაღა, შე ეშმაკო, შენა!!!

— ღვთის შეწევნით, ჩემო ვიქტორ.

— ერთი ეს მითხარი: ისევ „სხივში“ თანამშრომლობ?

— მე მგონია!

— ისევ იმედს გაძლევენ გონორარს? სტრიქონში სამ შაურს?

— ჰო!

— ბევრი აიღე ამ თვეში?

— ასე, ოხას მანეთამდე.

ვიქტორს თვალები უბრწყინავს, ხელები უკანკალებს.

— მაშასადამე... გადასდებდი ცოტა რამ ფულს შავ-დღისათვის.

მე ვჩერდები და ვოხრავ

— ოჰ, ჩემო ვიქტორ! რომ იცოდე, რა უბედურება დამემართა

— რა? რა დაგემართა?

— კაცო, ავიღე ოთხასი მანეთი კანტორაში, გამოვვლ, ჩავჯექი ეტლში და როდესაც მიველ სახლში და ამოვიღე საფულე, რათა ანგარიში გამესწორებინა მეეტლესთან, დავინახე, რომ ჩემი ოთხასი მანეთი გამქრალიყო.

— რას ამბობ! როგორ?

— თაგვებს შეეჭამათ!

რევოლვერი რომ ამოვიღო და გულში დავახალო ვიქტორს, ისეთი ფერი არ დაედება, როგორც ეს ჩემი ამბავი უცვლის ფერს. დიდი ხნის დუმილის შემდეგ იდგამს იგი ენას.

— ძლიერ მეწყინა, ძლიერ!

— მჯერა, ჩემო ვიქტორ.

— ვიზიარებ შენს მწუხარებას.

— გმადლობ, ჩემო კეთილო.

— კაცო, გავიგე შენი ბაბუა—პეტრე გარდაცვლილა და შენთვის დაუტოვნია თავისი ატენის მამულები. რა ჰქენ? უქენი ლიკვიდაცია მამულს? აქციე ფულად?

მე კვლავ ვხვნეში და თვალზე ცრემლს ვიწმენდ.

— ოჰ, ვიქტორ! რაღა მამული!... ჩაველ ატენში და აღარაფერი დამხვდა. მთელი ზვრები და ყანები სულ მთლად ვირთხებს შეეჭამათ.

— ღმერთო, ეს რა უბედურება დაგმართნია..

ვიქტორი ოფლს იწმენდს, რომელიც მას წურწურით ჩამოსდის ლოყებზე.

ყველაგ სიჩუმეა.

— როგორ არის საქმე, გრიგოლ? ან შენი საჩიერისა შენი წიგნის გამომცემელთან? ამბობენ, შენი კუოვნილი რვაასი მანეთი აგიდია.

— იმასაც ისეთი ბედი ხვდა, როგორც ოთხას მანეთს. შეუბრალებელმა თაგვებმა გაშინაგდგურეს! .

— რას ამბობ? რას ამბობ?

ვიქტორი აღელვებული დადის ოთახში, მე კი ვოხრავ.

— ვიქტორ, კაცო, რა ვქნა არ ვიცი! ფული მჭირდება!.. ოციოდე მანეთს რომ მასესხებდე ოთხშაბათამდე, დიდი მადლობელი ვიქნები შენი... კვირას უეჭველად დაგიბრუნებ.

ვიქტორი გიჟსავით გამოიყურება...

ვიქტორი ავლებს ქუდს ხელს და ელვის სისწრაფით გარბის გარედ...

მან ველარ გაბედა ეთხოვნა ჩემთვის ჩვეულებრივად ოცდა-ხუთი მანეთი „სამი დღის ვადით“

უფრო კარგ გუნებაზე ვდგები, რადგან ჩემს ფინანსებს სამუდამოდ არ ჩამოაკლდა ოცდა ხუთი მანეთი.

გუგული

ამონაკვნესი

ირგვლივ სიჩუმე და მდუმარება..
მთვარე კაშკაშა დასცურავს ცაზე...
და ვარსკვლავებიც მოკამკამენი
დაციაგობენ ლურჯ კამარაზე....
ობოლ ქუჩებში დავდივარ ობლად...
სულს მიწუხებენ შავი ფიქრები...
ჰოი, ვარსკლავო წინამორბედო,
ჩემთვის როდისღა აღმობრწყინდები?!.

კ. ძიძაძე.

„თამარ ცბიერ.“ „ახალ კლუბში“

გასულ კვირას დღისით, ქარ. დრამ. დასმა გვიჩვენა ჩვენი ბაკის შემოქმედება.

პიესის დაწყებამდე ქართ. ოპერეტის ძველმა ფარდამ, კლუბის სცენაზე ჩამოშვებულმა, გულს ნაღელი აგვიშალა: ნუ თუ ალარ უნდა ვიღირსოთ საკუთარ საოპერეტო დარბაზს?

ეს ნაღველი ოდნავ გაიქარვა ნ. დავითაშვილის მართლა და დედოფლურმა სახიობამ—თამარის როლის შესრულებით, ი. ზარდალიშვილის გოჩას გონივრულმა აღსრულებამ, ჰ. შოთაძის გრძნობიერებამ, ივანიძისა და გ. ფრონისპირელის მიერ ძველებურ ქართველთა განსახიერებამ, მაგრამ...

ეს წყეული „მაგრამ“: როდესაც ოდნავ დაბნელებულ სცენაზე ცირა ჩონგურზე ნანას უმღეროდა საწოლში მწოლიარე თამარ ცბიერს და მოჯადოებული მაყურებელი (უმეტესად ახალგაზდობა და მოწაფენი გულს ფანცქალით მოელოდა, ცირას, გოჩას და მასხარას შეიქმულება რა ნაყოფს გამოიღებდა, უცებ გაიღო პარტერის კარები, ვიდაც შლაპა-შლუპით შემოიჭრა, გამოიარა შუა პარტერში, წანა რიგს გაუარა, მარცხნით გაუხვია და კულისებში შებრძანდა...

დამსწრეთა გულის წყრომა უსაზღვრო იყო. კარებს ეცა მაესახლისთ მამასახლისი თავ. მ. ჭავჭავაძე, პასუხი მოსთხოვა მეკარეს (ყოველთვის ხომ „მეისრეა“ დამნაშავე), მაგრამ.—

— ბატონო, თქვენ ივე არტისტი ქალია, თქვენვე არღვევთ უწესოებას—თვითონ ძალზე შემოიჭრა და რა ჩემი ბრალიაო?

— თუ სცენაზე შესვლა უნდოდა სხვა გზა არ იყო, რომ ხალხში არ გაევლო? იკითხა ვიღაცამ!

— როგორ არა, მაგრამ არ ინებ ,..

ნუ თუ ქართული სცენის „არტისტი ქალი“ ასე ნაკლებ სცემს პატივს დამსწრე საზოგადოებას, თავის ამხ ნაგთ (სცენაზე მაინც) და მშობლიურ სა ცენო ხელოვნებას?!

მაშინ, როდესაც მთელი გულის ყურით ცდილობ ჩასწვდე ხელოვნების საიდუმლოებას, მსახიობის მღვდელმსახურებას,—სწორედ ამ დროს თვით ქართ. სცენის მსახიობქალი აღფრთოვანებულ ოცნებას ჩაგიფუშავს.

ერთხელაც არის, ბოლო უნდა მოეღოს თუ არა ასეთ უწესოებას?!

როგორი იყო წარმოდგენა?

ასეთი გაუგემურების შემდეგ ფასი როგორ დავსდვათ?

ექიმი შტოკმანი.

ბათომი. ნ. ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავის შესრულებას ბათომელებიც დიდსეულად შეხვდენ. შუა დღის 12 ს. წირვის კათაგების შემდეგ, ადგილობრივ ძველ სობორში გაფხდილი იქნა პანაშვიდი მარად სასსოვარ დვოაებრივ მგოსნის ჩვენი ბაირონის სულის მოსახსენებლად, სადაც კი რკინის თეატრში მისს პატიოსანტემლად გაიმართა სადმა-კონცერტი, რომელშიც ადგილობრივ დრამატიულ წრის რეჟისორ ვან. შადიკაშვილის კარდ მონაწილეობდა ჭია-

ოურიდან სავანგებოდ მოწვეული ჩვენი მომღერადი სანდრო კვესაძე. სადამოს აუარებელი სიზოგადოება დასწრო და თეატრის დარბაზი ისე გაიჭედა, რომ რიგორც, იტყვიან, ნემსი არსად ჩავარდებოდა. სადამო შესდგებოდა ხუთი განყოფილებისაგან: 1 ფარდის ახდისას, მგრძნობიარედ მიმართა მგოსნის სურათს ბ-ნ სერგო გერსამიამ, რომელსაც მოუყვა ბ-ნ ალ. წერეთელის შშვენიერი რეფერატი, უკვდავ მგოსნის პოეზიის შესახებ; მეტად შინაარსიანი გამოდგა და საზოგადოებაზე დრმა შთაბეჭდილება დასტოვა. 2 განყოფილებაში წაკითხულ იქნა „ბედი ქართველისა“, კრიმებსა და ტანისამოსში. 3 ზეენმა სუფარედმა მწერალ რეჟისორმა ბ-ნ გალ. შალიკაშვილმა მოხდენილად წაიკითხა უკვდავი ნიკოს უკვდავი „მერანი.“ 4 მომღერალთა გუნდმა ბ-ნ სანდრო კვესაძის დირიბორობით შესრულა: „მორბის არაგვი“ და „წარეულ წყლის პირსა“. მიუხედავად მცირე ხნის მომზადებისა, გუნდმა სამღერა კარგად შესრულა. აღსანიშნავია მარო წალდაძის ასული, რომლის მშვენიერი ტენორი ხმა ხშირად ატკბობს ბაოომის საზოგადოებას; მას ექვს მეტად კარგი ხმა და, თუ ხათანადო მუსიკალურ ცოდნას შეიძენს, ჩვენს მომავალ საოპერო სარბიელზე თავდასაჩინო ადგილს დაიჭერს. დასასრულ: 5, საზოგადოება სანდრო კვესაძის „ურმულმა“ მოხიბლა და ძალიერ ნასიამოვნები, ღამის 11 ნახ ს. დაიშალა.

გრიშა გურული

წვრილი ამბები

ქართ. დრამ. საზ-ის საზოგადო კრება გაიმართება სამშაბათს, ქრისტეშ. 6.

ეროგის შესახებ ამ მოკლე ხანში მოხ ენებას წაიკითხავს ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის თავმჯდ. გ. ყორდანია.

ანგარიში ქართ. დრამ. საზ-ის 1914-1916 წ. უკვე შედგენილია და დაბეჭდილი.

საიათნოვას შესახებ ვრცელი გაზეთი მოამზადა ი. გრიშაშვილმა და ამ მოკლე ხანში საჯაროდ წაიკითხავს.

ი. გრიშაშვილის სალიტერატურო კრებული საახალწლოდ გამოვა.

ნ. ბარათაშვილის ლექსებისა და წერილების გამოსაცემად ხელი მოწერა გამოცხადდა.

დღეს ნ. ბარათაშვილის დილა იმართება „ახალ კლუბში.“

„უცხო სიტყვათა ლექიკონი“ საჩქაროდ იბეჭდება და მალე გამოვა.

ქართული სამუსიკო ტერმინების შესახებ ია კარგანელმა ქართ. კულტ. მოყვ. საზ-ის კრებაზე 26 XI საყურადღებო მოხსენება. წაიკითხა. მომხსენებელმა ახსნა, რომ ხალხში და ძველ ქართულ მწერლობაში ბევრი ტერმინია დარჩენილიო.

სახალხო სახლში ორშაბათს, ქრისტეშობისთვის 12, ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ბერნშტეინის ცნობილი პიესა „ურიის სისხლი“ ტიბოს როლს შეასრულებს ი. ზარდალიშვილი, აგნესას—ნ. დავითაშვილი, გოტლიბის გ. იშხნელი. ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში.

დონის როსტოვის ქართველობასა და ქართველ სტუდენტობას განუზრახავს ამ მოკლე ხანში გამართოს ნ. ბარათაშვილის ალამი და ქართული წარმოდგენა.

ძიევში მყოფი ქართველ სტუდენტთა ერთი გარკვეული ჯგუფი, ძლიერ დაგვაღონა ჩვენი ნაყოფიერ მწერალ-დრამატურგის და ღირსეულ მსახიობის ვალერიან გუნიას ავდმყოფობამ. უგზავნით მას, შორიდან, გულ-წრფელ სალამს, და უსურვებთ მალე განკურნებულიყოს და ჩვეულებრივ ჯან-საღათ დაბრუნებოდეს თავის სამლოცველო ქართულ მელპომენას ტაძარს თავისი ნაყოფიერი საქმიანობით.

დ. ვიეიშვილის ობლების სასარგებლოდ ალექსი ბედოშვილისგან (თათართა პოლკის მეოთხე ასეულის ქართველ ჯარისკაცებში შეკრებ.) 25 მან.

ს. ბლახა შვილმა ამ ზაფხულს დასწერა სამავშო პიესა, რომელიც ამას წინად ჟურ. „ნაკადული“-ს სარედაქციო კომისიამ მოიწონა, ცენზურის მიერ წარმოსადგენად ნებადართულია და მალე დაიბეჭდება „ნაკადულ„-ში.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების საჯარგებლოდ: ბ-ნო რედაქტორო! ქალილდის გაძვირებისა გამო ჟურნ. „თეატრი და ცხოვრების“ ს სარგებლოდ გიგზავნით ერთს თუმანს (10 მან.) პატივისცემით.

გ. თ-შვილი.

ალ. ვენეციკისაგან (თბილისი) მივიღეთ 5 მან შემომწირველთ გულითად მადლობას გუძღვნით.

რედ.

V წ. მიილება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

ხალხთა სალიტერატურო, სამეცნიერო, სამხატვრო ყოველთვიური ხელის მოწერნი მიიღებენ

ერთადერთი ქართული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მესუთე)

ოქრო პრემიას

აკაკის „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ — ავტორის სურათებით, ფაქსიმილე და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში დიდს 8 მან. ნახევრის წლითა 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი უფულოდ 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე—3 მ. 1-ელ ნოემბერამდე 2

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სოლაპნის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, გორონცოვის შეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театръ и Жизнь“ Иосифу Именитову. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედა ვილისა

სახალხო სახლი

ორშაბათს ქრისტ. 12 1916 ქართ. დრამ. საზ-ის დასის მიერ. წარმოდგენილი იქნება სახელგანთქმული პიესა ან. ბერნშტეინისა

„ურიის სისხლი“

მონაწილეობენ: ქ-ნი ნ. ლავითაშვილი; ბ-ნნი: ი. ზარდალიშვილი, გ. იმნელი, ნ. გვარაძე, გ. ფრონის-პირელი, ი. მინდიაშვილი, ვ. ბარველი, ნ. ციციშვილი, ნ. ჩაგუნავა, ი. თარალაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ფასი: 1-70 კ. - 20 კ.-დე. რეჟისორი *** ადმინისტრ. დრამ. საზ-ისა.

ალაბალაკლუბი

1 კვირის პროგ. ქრისტე. 4—11.

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

სამშაბათი — სიმფონიური კონცერტი.

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ.-დე.

შაბ. — სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.

კვირა — რუსული წარმო. ბილეთ. 5-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 8 ს. ... წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ ს. შუასას. ფასი მინდილოსნ. 50 კ. მაშაკაც. 1 მ.

ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტზე, № 163)

ერთი კვირის პროგრამა ქრისტეშ 4—11.

ორშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმ. სიმ. ორკესტ.

ხუთშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკესტრი.

პარასკევი — სიმებიანი ორკ. წარმოდგენა

შაბათი — სიმებიანი ორკესტრი.

კვირა — სიმებიანი ორკესტრის კონცერტი.

რედ-გამ. ანნა იმედაშვილისა Дозволено Военной Цензурой სტამბა „სოლაპანი“